


# ვინას

№9, 2015





## ვალო ჩეიკვაძე

ჭიკვიკი დამატებობელი,  
რაც გესმის დედა ენიდან,  
მოდის ქართული სისხლიდან,  
მოდის ქართული გენიდან.

აი თხა, აი ვენახი,  
ცა უინვით მოუთუთქავი,  
აი – მუდამ რომ ფუსფუსებს –  
ოცდაცამეტი ფუტბარი.

ერთად მოდიან და-მმანი,  
ქვექნად არა პუავთ ბაზალი,  
სულ მათი მოქარგულია  
ჩვენი ლამაზი მთა-ბარი.

ვიდრე გამოიძინებდა  
ბუნაგში დათვი დანდალა,  
წიწყანა ჩიტმა-ჩიორაშ  
სულ სათითაოდ დათვალა –

ოცდათორმეტჯერ ნისკარტი  
როგორც კი დაჭვრა შორიდან,  
ბუსღუნითა და ქაქანით  
ტანწვრილი ჰაეც მოვიდა.

ანბანში ანი ზირველობს,  
მოფრინავს ბიჭი მერცხალა,  
ბარტეებს ნისკარტი დაბანა  
ბებია ბოლოცეცხლამა.

გუნდ-გუნდად გადაიფრენენ  
გნოლები გორაკებისკენ,  
დოლი, დოლაბი, დანდური,  
დატრიალებენ ენის წვერს.

ერკემალს, ცხვარს რომ მიუმღვის,  
კერტს დააკლებს ბოტაო,  
კერც ჯიხვი ემჯობინება,  
წვერი რომ შეიკოხტაოს.

ზაფხულს ზამთარი რითი სჯობს –  
ზოგჯერ ზოზინა, ზანტია.  
თებერვალს თოვლის თივთიკი  
ვინც შემოადნო – მარტია.

**Q** ია, ივლისი, ივერი,  
იცოცხლე, ჩემო კეთილო! -  
მაშინვე შემოგაშველებს,  
ცხვირი რომ დაცემინ.

**P** ძმებს კალათში დაიწეო  
კრუხმა კვერცხებზე კრიახი.  
ლოლოს გნაწუნა ჩურჩელით  
შირს იტებარუნებს ლიახვი.

**A** მურწა მთებიდან მოჰქეება,  
მოცურავს, მოუხარია,  
იცის, ლიახვის სათავეც  
ჩვენი სამშობლო მხარეა.

**B** ნაუ, ნაუ, ზარის ხმაც  
გალობს მშობლიურ კილოზე.  
ოშკო, ზარზმავ და ხახულო,  
საქართველოსთვის იღოცეთ.

**C** ორჯერ ორი რომ ოთხია,  
შენა ხარ ჩემი ბატონი,  
შინგვინმა ძლიერს გამოთვალა  
„ნოკიას“ კალკულატორით.

**J** ჟიშქივებს ღაუ ჟოლოზე,  
თუმცა ამინდი ჟიქმატობს.

**L** რუმ რაკრაკით რომ იდინოს,  
სიცხეს თოვლი და წვიმა ჯობს.

**T** ტატო ხატის წინ ტანტალებს,  
უფალმა ასე ინება,  
დედა ღვთისმმობლის კალთაში  
იქსოს ეტიტინება.

**Z** ფურდედოს უევარს ფუჩქიი,  
რძე იცის ღალიანიო,  
ქვაბში რომ წამოდუღდება,  
უნდა უთუოდ ღალიო.

**S** ღარი, ღანმილი, ღიობი,  
ღობე, ღაღანა ღიღილო.  
აბა, რა უნდა მიირთვა,  
ჟეჟბ რომ აგაღიღინოს?

**Y** უელში თუ ჩაირაკაკა,  
მწეუროდა, ვანა მშიოდა.  
ევანხალამ დააკანტალა  
მავი მაშვი რას ჩიოდა.

**V** ციხეს ცისკარი აღვიძებს  
არწივის ფრთების ხმაურით.  
ცეხორაკარა აიჯაგრება  
და ბრძოლის ჟინი დაუვდის.

**D** მიძგილაბენ მამლები,  
მამაცი და გამბედავი.  
მელია თუ არ გამოხნდა,  
ვინ დაამველებთ, ნეტავი?

**H** წიწილას - წვიმის წინწერალი,  
ულაეს - ბალახი ცერიანი,  
„წაბლა“ რომ დაიოთხება,  
ნალებს გაუდის წერიალი.

**W** ჭიშკარი ჭასთან ჭრიალებს  
ჭორი ჭორებთან ჭიდაობს,  
მზესთან რაც უნდა იდავო,  
მაინც იმახის - ჭიტაო.

**K** ხართუთა, ხარი, ხარება,  
ხატივით გამოისახა,  
ჯგარი, ჯგანი, ჯგარი  
კინც შემინახა, ისა ხარ!

ოცდათორმეტჯერ ნისკარტი  
როგორც კი დაპკრა ჩიორამ,  
მოფრინდა თითქოს ღუნდულა  
ღრუბელის ქულა, ფიორა.

**M** ჰიმნი - მეურმის ურმული,  
მისდეგს ზაფხულის საღამოს:  
- ჰამო, ჰამო, ჰამო,  
ნიკორავ, თივა გაამოს...

ერთად მოდიან და-მმანი,  
ქვეუნად არა ჰეავთ ბადალი,  
სულ მათი მოქარგულია  
ჩვენი ლამაზი მთა-ბარი.





## მაყვალა მრევლიშვილი

# მწერალი ისენების თანის სიყმანზოლები

### დადა ენა

თბილისში ვარ დაბადებული, მხატვრის ოჯახში, 1909 წლის 14 თებერვალს, ძველი სტილით ე. ი. ახლით – 27 თებერვალს. ორი შვილი ვყავდით მშობლებს.

შინ სპარტანული – როგორც მამა უწოდებდა – აღზრდა მქონდა თავიდანვე. ეს პირველ რიგში ჩემს სადაც ჩატარა ეხებოდა; ვაჟურად მაცმევდნენ, ჩემი უფროსი ძმის გამონაცვალებით იოლად გამოვდიოდი ბოლოლა ქალიშვილი ტანსაცმლით იყო, წიგნებით თუ სახელმძღვანელოებით.

არც წერა-კითხვა უსწავლებიათ, ჩემთავად ვისწავლე, რადგან ძმის ასწავლიდნენ და მეც იქვე ვერჭე მუდამ. პირველი ორი კლასის პროგრამა შინ გაატარებინეს ძმას, დაუდგეს მერხი, დაკიდეს დაფა. მე მიშლიდნენ წიგნის აღებას, უთუოდ უასაკობის გამო, არც გრიფელის დაფას მაკარებდნენ (ბუნდოვნად მახსოვს, სიზმარივით), გრიფელის დაფის ჯავრი დღემდე ჩამყვა. ისეთი მიმზიდველი იყო... იქვე კურდღლის თათი იდო ბუთქუნა ბენვიანი, რითაც გადაშლიდი დაწერილს. მერე ნათესავები იცინოდნენ: მაგიდის ქვეშ ისწავლეონ წერა-კითხვა.

იქვე ჩაკუნცხული ვუსმენდი უთუოდ სიტყვის დამარცვლას, ლექსების გამომეტყველებით კითხვას, რასაც რევის ასწავლიდნენ. ერთადერთი ფუფუნება იყო ჩემთვის დედ-მამის ნაჩუქარი „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილისა, საკუთარი, ჩემი! ის მეჭირა უთუოდ მაგიდის ქვეშ მოკალათებულს. სკოლის დამთავრებამდე შემომრჩაის, წითელ-მოვარდისფრო ყდიანი „დედა-ენა“ – ხახვის ფურცლის ფერისა. („ეთერიანშიც“ ხომ ნათქვამია: ბაგე ხახვის ფურცელია...) სიხარულის წიგნი, სიხარულის სათავე. ერთადერთი სათუთად მოვლილი საუნჯე, ხუთი წლის ასაკიდან სულში რომ ჩაჯდა.

მახსოვს, რა სასოებით შეაკეთა იგი საჩემოდ მამაჩემმა, ოდნავ წიბოებშელახული წიგნი და ცოტა ყდაზეც გადაჰკრა ფუნჯი „დედა-ენას“, თავისივე ფერის გასაცოცხლებლად. წიგნი უფროსი ძმისაგან მერგო მემკვიდრეობით. ყდა დაყმედილი მოვარდისფრო ჰქონდა, ანუ თბილი ფერისა, როგორც მამამ შეარქვა (მხატვრები ასეთებს თბილ ფერებს უწოდებენ), გადაჰკრა აკვარელი და მთლად გამიახლა.

მამაჩემს ეამაყებოდა ნამდვილად, გულის აჩუყბამდე „დედა-ენის“ არსებობა. თვითონაც ხომ ამ სახელმძღვანელოებმა სულზე მოუსწრეს და უშველეს უთუოდ სასწავლებელში, სადაც მისი სწავლების ხანაში აუტანელი მკაცრი რეჟიმი და ქართული ენის სიძულვილი სუფევდა.

„დედა ენის“ პირველ გამოცემებში არა და შემდეგ, გვიანდელებში კი თავად მამაჩემის მცირეოდენი წვლილიც იყო ჩართული ნახატების სახით. ი. გოგებაშვილმა მიინვია იგი მხატვრად თავისი ფასდაუდები სახელმძღვანელოებისათვის.

დიდ იაკობ გოგებაშვილთან ისიც ასეთ კეთილშობილ სამუშაოზე, მუშაობა უზომოდ სასიხარულო იყო. მამა მუდამ მონადინებით და სიყვარულით უსრულებდა დავალებას. დიდი იაკობი ხომ მუდამ ზრუნავდა მწერლებზე და იზიდავდა მხატვრებს. ეს ხომ წერა-კითხვის



შურალა „დილის“ თანამშრომლები: ჩემი მარგიანი, კუკური გოგიანი, მაყვალა მრევლიშვილი, მურამ ლეკანიძე, ეთერიან ჭყობილი


საზ-ბის გამოცემები იყო და ხშირად სრულიად უსასყიდლოდ უსრულებდნენ, ეხმარებოდნენ, როგორც ამ საზოგადოების წევრები.

მე არ მქონდა იმის ბედნიერება საკუთრად ჩემთვის ეყიდათ „დედა ენა“, ნაბოლარა ვიყავი და როგორც ჩვეულებრივ ოჯახში ხდება ხოლმე, მემკვიდრეობით მერგო უფროსის გამონაცვალი სახელმძღვანელო. არც დიდხანს მილოლიავებია ხელში, ეტყობა, სანამ ძმის ხელში იყო, მაშინ უფრო მაინტერესებდა. მე როცა მერგო, უკვე ზეპირად ვიცოდი თავიდან ბოლომდე.

### ოჯახი

მამაჩემის ოჯახი, სადაც მე აღვიზარდე, ის ჩვენი ოჯახი იყო ერთსულოვანი. არასდროს ორპირობა არ ყოფილა უფროსებში, ასევე ვიყავით შვილებიც. ამგვარად გვზრდიდა დედ-მამა – ნდობით.

დედა რომ ქარგავდა ფერადი ძაფებით, მამა სამუშაოს მიატოვებდა, მასთან ჩამოჯდებოდა და მაშინ არა, ახლა კი ვგრძნობ, დიდი სიამისაგან ყელში ცრემლებმობჯენილი შეჰყურებდა უსიტყვოდ, ხელგაუჩერებლივ მომუშავე დედაჩემს. ისინი იმხანად გატაცებული იყვნენ საქარგავი ასოების ხატვით. მათ ერთად მთელი ქართული ანბანი ჰქონდათ დამუშავებული ნახატებად.



მაყვალა მრევლიშვილი, მაულე - გრიგორ კაკაბაძე, ვალეგია - ალდე და ეთერიან კაკაბაძეები

### დილა მშვიდობისა

ერთი პირსახოცი გვქონდა ოჯახში. ცოცხალი ზამბახები იყო ცალ ბოლოზე აბრეშუმის სითვით (გლადით) ამოქარგული, მეორე ბოლოზე – „დილა მშვიდობისა“ ენერა. მამას დახატული იყო მთლიანად, დედას ამოქარგული. იმის ნახვას არაფერი სჯობდა.

ჩემი ბავშვობის დილა ამ პირსახოცის ამოკითხვით დაიწყო...

მოგვიანებით, სხვა ტილოზე დაწერა მამამ იგივე და ისეთივე ზამბახები დახატა ბუნებრივი ზომისა, მაგრამ დედას აღარ ჰქონდა გული, რომ მოექარგა.



## ღირა მშვიდობისა

– ჩიტო, ჩიტო, ნაწარავ, ვის უგალობ, ვისა? შენ გიგალობ, ზატარავ, – დილა მშვიდობისა!

– მზეო, მზეო, ცნობათვალა, ვის უცინი, ვისა?

– გაიღვიმე, ზატარავ, დილა მშვიდობისა!

– ზაწაწინა უვაილო, რად გამალე კვირტი?

– შენთვის მინდა, ზატარავ, აბა დამაკვირდი!

– მეც ახლავე ავდგები, მეც დაჭიბან ზირსა, ეველას მივესალმები: დილა მშვიდობისა!

## ანალი

ანაო, ანა-ბანაო, არ მინდა პირის ბანაო! თუ პირის ბანა არ გინდა, უერ წასებალ ბებოსთანაო!

მხატვარი  
ნანა სანაია



## ყვინჩილა

ევინჩილამ თქვა:  
ვსინჯავდი  
ფერად-ფერად  
ნაუინებს.  
გამიცივდა  
ჩიჩაუგი,  
წარამარა  
მაუივლებს.

## დაუვიცყარი გაკვეთილი

თბილისის ქალთა გიმნაზიაში მიმაპარეს სასწავლებლად. სიმღერა-გალობა გვეწერა ცალკე საგნად პირველივე განყოფილების (დღევანდელი პირველკლასელების) ცხრილში.

სიმღერა-გალობის გაკვეთილზე ჩვენმა კლასის დამრიგებელმა თამარ კარბელაშვილმა ორ-ორი დაგვამწკრივა და სხვა კლასში წაგვიყვანა, სადაც როიალთან მიმჯდარი ჩვენი სახელოვანი ზაქარია ფალიაშვილი მეორე თუ მესამე კლასელებს ამღერებდა. შენყდა სიმღერა, ჩვენ წინა რიგში გაგვამწკრივა კლასის დამრიგებელმა და გავიდა. სიმღერის მასწავლებელი არ ჩაგვერია, განაგრძო გუნდთან სიმღერა, სიტყვებს თვითონ შეახსენებდა, ჩვენ ხმა უნდა აგვეყოლებინა. მომდევნო გაკვეთილზედაც არ გამოჰკიდებია ჩვენს განლაგებას, ტექსტს სტრიქონ-სტრიქონ თვითონ გვიკარნახებდა სიმღერისას. ლექსი ადვილი იყო:

„გალიაში რომ გაგზარდე ბოშო ჩარი...

ისე გაჭმევდი შაქარსა,  
როგორც ყველი და პურიო“.

მეორე სიმღერა აკაკის მურია იყო: „რას წუნუნებს ეს პატარა მურია“.

მესამე – ხალხური ლექსი: „მოკვდა კამეჩი ბეხია“.

მოტივი სხვადასხვანაირი.

ასე ძალდაუტანებლად შეგვაჩვია გუნდში სიმღერას პატარა ხანი, შემდეგ და შემდეგ ამღერებულებს მოგვიახლოვდებოდა სათითაოდ, შეჩერდებოდა აქა-იქ, ჩვენ კლასელებთან ყურს ზედ ტუჩებთან მიუტანდა და გაბრუნდებოდა ინსტრუმენტისაკენ.

ვფიქრობ, დიდი შემომქმედისაგან რა სწორი მეთოდი იყო თავდაპირველად მიეზიდა და არ დაეფრთხო მოზარდები. შემდეგ და შემდეგ, როცა მხოლოდ ჩვენი კლასი ჰყავდა სამუშაოდ, მოთმინების ფიალა აევსებოდა, მაშინ იყო რომ წამოვიდოდა გამეხებული მისი სუფთა, კრიალა, დაუნდობელი ყური ვინმე სმენადახშულისაკენ, შეუთამადებოდა სახის ნერვი (ნაკვთი), მაგრამ ჩვენ უკვე ვიცნობდით მის უკვდავების წყაროსავით მჩქეფარე, თავანკარა მუსიკას და ახლა ჩვენ ვიყავით ავსილნი მოთმინებით.



გაყვალა მრევლიგვილი „დილის“ რედაციაში თანამშრომლებთან და პატარა გვითხველებთან ერთად. 1984 წ.

ვუძღვნი / ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგს  
ეალბატონ ნელი ნიკოლაიშვილს.

ლალი ჯაფარაშვილი

## იქნი


### ოქვენთვის

ის არ გითხულობს,  
წლის რა დროა,  
ცხელა თუ ციგა.  
„დედა ენიდან“  
თქვენს კალთაზე  
იქბი ცვივა!  
და ბავშვის ღიმილს,  
ნათელ ღღებს,  
გჩიან იმედებს...

უფალი თქვენთვის  
იმ იქბის  
მაღლით იმეტებს,  
ხოლო ტკივილებს,  
მწუხარებას,  
სეპდას და ურგას  
ისევ და ისევ  
იმ იქბის  
სურნელით გურნავს!  
მაშინაც, როცა  
მწირი აწმუო  
უწეალოდ გწირავთ,  
„დედა ენიდან“  
თქვენს კალთაზე  
იქბი ცვივა!



მხატვარი  
მალხაზ კუჩაშვილი



# უცანოვთოს ჰერთლისტები

## სამზო

ქვეყანას, რომელზეც მინდა გიამბოთ,  
ციანეთი ჰქვია. რომ იცოდეთ, რა ვრცელია  
და რა შორს არის ჩვენგან. იქ არც ბალაზი  
ბიბინებს, არც ყვავილები ყვავის, არც ჩი-  
ტები ჭიკჭიკებენ, მაგრამ მაინც საოცარი  
და მშვენიერია.

მე მოგიყვებით ამ ქვეყანაზე და მის  
ბინადრებზე, რომლებიც არც ადამიანებს  
ჰგვანან, არც ცხოველებს, არც ფრინვე-  
ლებს და დედამიწაზე არსებულ არც ერთ  
სულიერს, თუმცა მათაც ჩვენსავით უყ-  
ვართ, უსარიათ, განიცდიან, სტკივათ,  
ბრაზობენ, სწყინთ.

დილით, როცა ჩვენთან საათის პატარა  
ისარი 6-ს უახლოვდება, ციანეთში ცის კა-  
რი იღება და ახლად გამოღვიძებული კაშ-  
კაშა ბურთი თვალების ფშვნეტით, აუჩქა-  
რებლად იწყებს გორვას. იცით, როგორი  
ზოზინაა სიზმრებიდან ახლად გამოღნეუ-  
ლი? რამდენი ხანი უნდება ზმორებასა და  
თვალების ფშვნეტას? თუმცა ძალიანაც  
ვერ დავძრახავთ, მას ხომ ცხრა თვალი  
აქვს.

ეს ციანეთის ყველაზე კაშკაშა ბინადა-  
რია და მზე ჰქვია, მხარეს კი, სადაც ცხოვ-  
რობს, – სამზო.

მანამ იფშვნეტს მზე ცხრავე თვალს,  
სანამ ადამიანები დედამიწიდან ჯადოს-  
ნურ სიტყვებს არ ასძახებენ:

„მზეო, ამოდი, ამოდი,  
ნუ ეფარები გორასა,  
სიცივეს კაცი მოუკლავს,  
საწყალი აგერ გორავსა“.

მზე ამ სიტყვების გაგონებისთანავე გა-  
მოფხიზლდება, თვალებს დაჭყეტს და დე-  
დამიწაზე სითბოს მონატრებული ყველა  
სულიერის ძებნას იწყებს.

რაღა დროს ცალი ხელით ცხრა თვა-  
ლის ფშვნეტაა, რაღა დროს გაზმორება  
და ნებივრობაა, მკვირცხლად გადმოშლის  
ათასობით უხილავ, თბილ ხელს და ყველას  
ეალერსება, ვისაც სითბო სჭირდება.

სიცივით მოკლულ კაცთანაც მიდის და  
მანამ ეფერება, სანამ გათოშილი კაცის გუ-  
ლი ფეთქვას არ დაიწყებს.

უამრავი შვილობილი ჰყავს მზეს დედა-  
მიწაზე. რაც სუნთქავს, იზრდება, მისი შვი-  
ლობილია. ყველას თანაბრად უნაწილებს  
საზრდოს: აბიბინებულ, ათასფრად მოჩი-  
თულ ველ-მინდვრებსა თუ პატარა სახლებ-  
ში, მომცრო ქოთნებში დაბმულ ყვავილებს;  
ტოტებზე არხეინად მოჭიკჭიკე ჩიტებსა და  
ჯერ კიდევ ჭუპრებში გამომწყვდეულ პეპ-  
ლებს; ოკეანეებში მოლივლივე თევზებს;  
ულრან ტყეებში მობინადრე ცხოველებს...

ყველაზე ზრუნავს მზე: მიწაში ჩაგდე-  
ბულ პატარა მარცვალზეც, აშოლტილ ხე-  
ებზეც, ჰაერში მოფუსფუსე პანაწინა ქინ-

ქლებზეც... ყველაზე, ვისაც სიცოცხლე სწყურია და ამისთვის საზრდოდ მზის სითბო სჭირდება.

მთელი დღე თავს დასტრიალებს მზე დედამიწას. ათასი საფიქრალი აქვს, ვინმე არ გამორჩეს.

იქნებ, ფოთლებქვეშ მიმალული, მიწაზე გართხმული მომაკვდავი ყვავილი ეძახის, მასაც უნდა მიაგნოს, თბილი ხელები შეახოს, ფეხზე წამოაყენოს.

ყველა ფანჯარაში უნდა შეიჭყიტოს, ყველა ახალშობილს მიეფოფინოს, ყველა ავადმყოფი ანუგეშოს.

ბევრი საქმე აქვს მზეს.

საღამოს, დაღლილ-დაქანცული, სამზეოდან ციანეთის უხილავ საფეხურებს ნელნელა ჩამოჰყვება და ზღვაში ჩაცურდება. განა გასაგრილებლად ან წყალში სანებივროდ? – არა! იქაც უამრავი ლიფსიტა თუ ზღვის ფსკერზე მობიბინე წყალმცენარე ელოდება, რომლებსაც ვერ ჩააწვდინა თავისი უხილავი, თბილი ხელები, ამიტომაც ახლოს უნდა მივიდეს მათთან და სიცოცხლის თბილი სხივი ჩაუცუროს გულში.

შუაღამეზე, როცა ძალაგამოლეულ მზეს თვალები მიელულება და ჩაეძინება, ციანეთის უხილავ კიბეს ფეხაკრეფით ჩამოივლიან ვარსკვლავები, წყალში ჩაყურყუმალავდებიან და დაბლა-დაბლა, ფსკერისაკენ იწყებენ ცურვას. ჩაძინებული მზის გარშემო მოიყრიან თავს, ფრთხილად მოჰკიდებენ ხელს, უხმაუროდ ამოცურდებიან წყლის ზედაპირზე და შეუმჩნევლად აუყვებიან უჩინარ საფეხურებს. გადაივლიან

სამზეოს და ნაზად შეაგორებენ მზეს ციანეთის კიდეზე ათასფრად აბრჭყვიალებულ სასიზმრეთში.

იქ კი...

იქ...


იცოდით, ვინ აფერადებდა ღამით თქვენს სიზმრებს?

ახლა ხომ ხვდებით?

დიდი, თბილი, ბრჭყვიალა სასწაულია მზე!



მხატვარი ანა კანდელაკი



ლევ ჭოლაშვილი

# ფრინველები

რუსულიდან თარგმნა  
ქათევან თუხარელება



ფრინველებმა გადაწყვიტეს, მოდი,  
მეფე ავირჩიოთო. ფარშევანგმა კუდი  
გაშალა და განაცხადა, მე ვარ მეფეო.  
და მართლაც, ყველა ფრინველმა მისი  
სილამაზის გამო, მეფედ აირჩია. ყვავმა  
კი თქვა:

— აბა, გვითხარი, მეფე რომ გახდები,  
ქორისგან როგორ დაგვიცავ?

ფარშევანგმა არ იცოდა, რა ეპასუხა.  
ფრინველები ჩაფიქრდნენ — აბა, ეს  
როგორ გვიპატრონებსო და მეფედ არ-  
წივი აირჩიეს.

მხატვარი  
ელენ ვალაშვილი

პ	რ	ა	ც	ლ	მ	ი	ტ	ა
გ	ნ	ი	ნ	ი	ტ	ა	ტ	ა
ლ	პ	პ	ო	რ	ო	რ	ი	თ
ი	უ	პ	რ	უ	ი	თ	ს	ი
ა	თ	ს	ი	ა				

კროსვორდში სიტყვები არეულად  
არის ჩანერილი. თუ მათ ამოკითხვას  
სწორად შეძლებ, ცენტრალურ სვეტში  
დაშიფრულ სიტყვასაც ამოიცნობ.  
გაითვალისწინე, რომ ყველა სიტყვა  
ნახატზეა მოცემული.

11

# ტყის სკოლაში

— დღეს სკოლაში სხვებზე ადრე  
ვინ მოვიდა, იცით?

— ვინა?

— ვინ და

დონდლო ლოკოკინა!

კარგი ერთი, რას მატყუებ!

მართლა დონდლო ლოკოკინა?

— დიახ, დიახ, ლოკოკინა!

სწორედ დონდლო ლოკოკინა!

— ეს ვინ ნახა, აბა, ვინა?!?

ვახ, ბიჭო, რა გამაცინა!

— რას იცინი?

— კარგი ერთი...

დავაა და კამათია,

არ იციან, ლოკოკინამ

ლამე აქ თუ გაათია...

გუშინ მთელ დღეს სწორედ აქეთ

მოჰყვებოდა წიფლიანებს,

დაგვპირდა და წელს სკოლაში

უკვე აღარ იგვიანებს!

— ხვალ რას იზამს?

— ლოკოკინა

პირიანი ბიჭი გახლავთ...

ადგა ახლა და ამ სკოლის

კიბის თავში დაესახლა...



მაია კარსელი

# სახუმის დათვება

— მხიარულო ცხოველებო,  
საით მიიჩქარით?  
— არდადეგები დამთავრდა,  
გვიხმობს სკოლის ზარი!  
სირაქლემა პირველია —  
ის ხომ სწრაფი ფრინველია!  
ნიანგია მეორე —  
გაკვეთილს იმეორებს!  
მესამე — ხარი — მზად არი:  
მიაქვს რვეული, ფანქარი!  
მეოთხეა ბეჭემოთი:  
წიგნთან ერთად მიაქვს შოთი!  
მეხუთეა თუთიყუში:  
დაისწავლა ლექსი გუშინ!  
მეექვსეა მაიმუნი —  
წიგნი მიაქვს ხტუნვა-ხტუნვით!  
მეშვიდეა ჟირაფი —  
მიდის სკოლაში დაფით!  
მერვე სპილო გაემართა,  
წიგნით სავსე მიაქვს ჩანთა!  
მეცხრე გარბის კენგურუ:  
— ვინ მიასწრებს, მე თუ კუ?  
მეათეა კუ-ჩანჩალა:  
ვერ მიასწრო...  
მორჩა სწავლა!

მხატვარი  
გიორგი ჩაჩანიძე

# ქველი ცოცხი



ატარა გოგომ ძველი ჯიყა ცოცხი იპოვა და შინ წაიღო.

- ჩვენს სილარიბეს ეგ უმაქნისი ცოცხილა აკლდა, მოაშორე აქაურობას! – გაუბრაზდა დედა. ბავშვმა ცოცხი გადასაგდებად წაიღო.
- ნუ გამიმეტებ გადასაგდებად, – გაისმა ცოცხის ხმა, – ამაღამ შენი შშობლები რომ დაიძინებენ, იფხიზლე, სახლი დაგავე და ნახავ, რა შემიძლია...

გოგონა ისე მოიქცა, როგორც ძველმა ცოცხმა დაარიგა – შშობლებს რომ ჩაეძინათ, ცოცხი მოიმარჯვა, მაგრამ რას დაგვიდა, როცა დედამისს ოთახი ისე გამოესუფთავებინა, ნაგვის სახ-სენებელი გამქრალიყო.

- ტახტის ქვეშ შემაძვრინე, რამეს ვიპოვი, – წასჩურჩულა გოგონას ცოცხმა.
- იმანაც ცოცხი ტახტქვეშ გამოუსვა და მოხდა სასწაული: ცოცხს ნაგვის ნაცვლად ოქროს მონეტები გამოჰყვა. გაოცებულმა ბავშვმა ცოცხი კიდევ გამოუსვა და ისევ თქროს მონეტები აწკრიალდნენ იატაკზე.
- გეეოფა, ნუ იხარბებ, თორემ თქრო ისევ ნაგვად იქცევა! – გააფრთხილა ცოცხმა.
- გოგონამ იატაკიდან ოქროს მონეტები აკრიფა და მეორე დღეს შშობლებს უჩვენა. გაუხარ-დათ შშობლებს, დღეიდან შშივრები აღარ ვიქნებითო.

ძველი ცოცხის ამბავმა იმ ქვეყნის ხელმწიფის ყურამდე მიაღწია და ბრძანა: – ცოცხი ახ-ლავე აქ მომიტანეთო!

წავიდნენ მეფის მსახურები, პატარა გოგოს ოჯახს ცოცხი წაართ- გეს და მეფის მიართვეს.

– ბლომად ნაგავი დაყარეთ სასახლეში, ვნახოთ, რა შეუძლია ძველ ცოცხსო! – თქვა მეფემ.

დაფაცურდნენ მსახურები, მოზიდეს ნაგავი, მერე აიღეს ძველი ცოცხი, ხან იქით გაგავეს, ხან აქეთ გამოგავეს, მაგრამ გაგიგონიათ?! ერ- თი ცალი თქროც არ გამოჰყოლია ცოცხს. პი- რიქით, ნაგავს ნაგავი ემატებოდა.

მბრძანებელს ეგონა, მსახურები კარგად ეერ გვიანო, გაჯავრებულმა ცოცხი ხელი- დან გამოსტაცა და თვითონ დაიწყო დაგ- ვა. ხან იქით გაგავა ნაგავი, ხან აქეთ გამოგავა...

რის ოქრო, რა ოქრო – სასახლეში ნაგვის გორები აღიმართა.

ეველა ხელმწიფე ყეყეჩი და თავ- ქარიანი როდია, როგორც ზღაპ- რებშია – ეს მეფე ჭკვიანი იყო – ჩაფიქრდა და ბრძანა:

– უხედავ, ძველ ცოცხს ჩემ-

თვის ერთი ოქროს მოცემაც არ უნდა, ჩანს, მარტო იმ გოგონასათვის ემეტება. წაიღეთ ცოცხი, პატრონს დაუბრუნეთ, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროსო.

ამის თქმა იყო და იმოდენა ნაგავი ოქროს მონეტებად იქცა. სასახლე ოქროს ბრწყინვალებად შესავით გაანათა.

მეფე სიხარულისგან ლამის გადაირია – უცებ ყველა მეფეზე მდიდარი გახდა. არც თავისი ნათქვამი დავიწყებია, მსახურებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს მეფის ბრძანება – ძველი ცოცხი პატრონს დაუბრუნეს და გაახარეს. გოგონა და მისი მშობლები დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ.



# სალამის ქართველი

## ნიშანის

### მომხრის

მე ცაბუნია ცერცვაძე ვარ. მეორე კლასში გადავედი. რომ იცოდეთ, სულაც არა ვარ პატარა. ის კი არადა, ბებიაჩემი მეუბნება, შენ, ჩემო ბებიკო, ასოცირებული პროფესორი ხარო. რომ ვკითხე, ასოცირებული რა არის-მეთქი, ასე მიპასუხა: ზუსტად არ ვიცი, მაგრამ სიტყვა პროფესორს თუ სიტყვა ასოცირებულიც თან ერთვის, ესე იგი, კარგი პროფესორია. ამ დიდებისას ხომ ვერაფერს გაიგებ. ხან ამბობენ, შენ ჯერ პატარა ხარო, ხან რამე საინტერესო სიტყვას შეეკითხები და, ზუსტად არ ვიციო, გიპასუხებენ.

ჰოდა, ახლა მოგიყვებით ამბავს, რომელიც ჩემი თვალით ვნახე და რომელსაც სულაც არ დასჭირდა განმარტება, არც ის, ასოცირებაა თუ რაღაც. ამბავი ასე დაიწყო: საზაფხულო არდადეგები იწურებოდა. შაბათი დღე იყო. ჩვენ, ბავშვები, „ჯეირანს“ ვთამაშობდით გასახვევში. სულ შვიდნი ვიყავით: მე, ელენიკო ტულუში, მისი ძმა საბა, ჩემი ბიძაშვილი ნუციკო, მარიკო ვასაძე, მისი ძმა ლუკა, რომელსაც ბებიაჩემი ხუთკუნძულას ეძახის, და მურადიანების ხუჭუჭა ჯულო. უცებ დიდმა შავმა ჯიპმა შემოუხვია, ოდნავ შეანელა სვლა, ცოტაზე გაგვცდა და თითქოს მანქანის კარიც გაიღო და მიიხურა. ამის შემდეგ ისეთი სისწრაფით გავარდა, ქუჩის გასაყართან მდგარ დალი დეიდას ორკიბიან მაღაზიას ქვედა, პირველი კიბე კინალამ ააგლიჯა. ჩვენ ყველანი კედელს ავეკარით. დალი დეიდა გამოვარდა და სულ მამაძალლი და გამოტვინებული ეძახა, მაგრამ, რა თქმა უნდა, დიდი შავი ჯიპის პატრონს არაფერი გაუგია.



აი, უკვე ყველაზე საინტერესო ადგილს მივადექით. ის იყო, „ჯეირანის“ თამაში უნდა გაგვეგრძელებინა, რომ მოულოდნელად მაღაზიის წინ ორი თეთრი, ღრუბელივით ნელა მოძრავი, ახალთვალახელილი კნუტი ანივლდა. იქამდე სულ ერთი, ორი, სამი და ოთხი ნაბიჯი იყო. პირველი ჩვენი ხუთკუნძულა გაიქცა, მაგრამ გაოცებული იქვე შეჩერდა, რადგან უცებ მაღაზიიდან ყავისფერმა კავკასიურმა ნაგაზმა ლულუმ დინჯად ჩამოიარა ორი კიბე და პირდაპირ კნუტებთან გაჩნდა. ჩვენ გულში შიშმა გაგვკრა. ლულუ კი ძალიან ჩვეულებრივად მივიდა, ჯერ ერთი კნუტი აიყვანა პირით და იქვე, თავიანთ ეზოში შეიყვანა, სადაც მას ცისფრად შეღებილი, ლამაზი სახლი ედგა დიდი ლელვის ძირში, მერე ისევ შემობრუნდა, მეორესაც ასევე ფრთხილად მოჰკიდა პირი და თავის სახლში შესვა. ჩვენ დალი დეიდას შევაჩერდით. მე მაშინვე კითხვა შევაგებ:

— კი მაგრამ, ძალლები რომ კატებს ვერ იტანენ?

მას გაეღიმა.

— ესენი ხომ კატები არ არიან, პროფესორო, ესენი ერთი კვირის ან, ჰა და ჰა, თხუთმეტი დღის კნუტები არიან. ეჭ, ჩემო ცაბუნია, რა ვართ ადამიანები — ლილუს ჯერ კიდევ თვალაუხელელი ხუთი ლეკვი გავუჩუქეთ, ჯერ კიდევ ძუძუს აწოვებდა.

— ...და ახლა შეიძლება ამათ... — მღელვარებისან, ამდენი ხანი პირდაღებული დგომისგან ნერწყვი გადამცდა და ისეთი ხველა ამიტყდა, სული ძლივს მოვიბრუნე.

— კი, კი, ნამდვილად მოაწოვებს, — დამიმთავრა წინადადება დალი დეიდამ, — მოდით, მოდით ჩუმად შევიხედოთ და ვნახოთ.

...ჩვენ, ყველამ, ოდნავ შეღებულ ჭიშკარში თავები შევყავით. ლულუ იწვა, ორი ბამბაქულა კნუტი კი ძუძუს გამალებული წოვდა.

უკვე მოსალამოვდა. ქუჩის განათებაც ჩაირთო. დალი დეიდამ ყველას წუწნია ჯოხიანი კანფეტები და თითო-თითო საღეჭი რეზინი გვაჩუქა.

— აი, ბავშვებო, ხომ ხედავთ, დედობა როგორია, — თქვა მან.

— ესე იგი, რაა, იშვილა ლულუმ კნუტები? — ვკითხე მე.

— მააშ, იშვილა, შვილო, იშვილა და ღმერთმა გაუზარდოს, — თან იღიმებოდა დალი დეიდა, თან თვალები ეცრემლებოდა.

აი, ასე იყო ეს ამბავი. ბებიები და დედები კი უკვე გვეძახდნენ. საღამო იყო მშვიდი, წყნარი და სიკეთით სავსე.

### მხატვარი თამთა მამაკალაშვილი



## საექიპირო სარ გვაქვს?

გავჩნდით ქვეუნად ემიგრანტად  
საბაც, ანამარიაც.

ჯერ სამშობლო არ გვინახავს,  
ნეტავი, რავარია?!

დედა ზუგდიდელი არის,  
მამა — ახალგორელი.

ექორჩაში გავჩნდით ჩვენ და  
სამშობლო გვაქვს რომელი?

სად ვიკითხოთ, ვის მივმართოთ,  
რომ სამშობლოს დავეძებთ?..  
ამისთანა გასაჭირში  
ნუ ამუფებ სხვა და-მმებს.

დედას, მამას ვეკითხებით —  
სხვებს ჰასუები არა აქვთ.

იქნებ, ვინმებ გაგვარებიოს,  
ჩვენ სამშობლო სადა გვაქვს?

ჯერ არ ვიცნობთ ბიძიებს,  
არც დეიდა-მამიდებს,  
მამულამდე მანძილი,  
არც კი ვიცით, რა გვიდევს.

სამშობლოზე ოცნებობს  
ჩვენი გული ჰატარა,  
ჯერჯერობით დედ-მამა  
ამ ოცნებით გვატარა.

ბებიებს და ბაბუებს  
ვეაგართ მონატრებული,  
გვინდა, ვნახოთ მამული —  
დედ-მამისგან ქებული.

რობერტ მასხი

# ტყე ში

ტყის პირველი იარუსი –  
შემოდგომის ფოთლით სავსე:  
ამოსულა სოკოები  
სავსით ნაქსოვ ხალიჩაზე.

ტყის მეორე იარუსი:  
იცქირება ია რუში,  
ინაზება, იპრანჭება,  
გაჩნდა გუშინ.

ტყის მესამე იარუსი –  
ბიამ უთხრა მწყურვალ დეკას:  
– დილის ნამი ჩამრჩა გულში,  
ხომ არ გნებავს?

ტყის მეოთხე იარუსი:  
რა ადარდებს ასე თხმელას?  
თურმე სორო გაუთხრია  
ფესვთან მელას.

ტყე ხომ ამფითეატრია,  
ხემ თავისი იცის როლი.  
ამ ბილიკზე დადის ხოლმე  
მზე – მთავარი რეჟისორი.

იპოვათ  
ემალი  
საბნები



ქორი ფჩაბენას ას ჩანს ერ სახათზე?





# გადვიძერს

ვახო და მიხო ტყუპი ძმები არიან. ისინი წელს სკოლაში წასასვლელად ემზადებიან. მამამ ბიჭებს საჩუქრად მაღვიძარა მოუტანა. ძმებს ძალიან მოეწონათ მაღვიძარა – მამლაყინნა, რომელსაც მკერდთან, ჩიჩახვის ადგილას საათი აქვს. წიკ-წიკ, წიკ-წიკ – წიკწიკებს საათი და ამ წიკწიკზე მამლაყინნაც თავს განუწყვეტლივ აკანტურებს, თითქოს წამებს ნისკარტით კენკავსო. თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. როცა ისარი მონიშნულ ადგილს მიაღწევს, მამლაყინნა ყივის. ჩვეულებრივ, მამლები რიხიანად ხმობენ: ყიყლიყო! მაგრამ ეს სასაცილო მამლაყინნა თავის ისედაც აყაყულ, ზამბარიან კისერს კიდევ უფრო დაიგრძელებს და იძახის: იყი-ყი-ყი! ამ ხმაზე ბიჭები გულიანად იცინიან.

რომელ ბავშვს არ უყვარს მაღვიძარას „დაზარუნება“ და მიხო და ვახოც მოუთმენლად ელიან მამლაყინნას დამარტოხელებას. დილით, მამა ჯერ კიდევ ეზოდანაც არ იქნებოდა გასული, რომ ბიჭები მაღვიძარას მიდგნენ. იმდენი „აყიყლიყოვეს“, რომ საღამოსთვის უკვე ქანცგანყვეტილი და ხმაჩახლეჩილი მამლაყინნა საერთოდ დაჩუმდა. სამუშაოდან დაბრუნებული მამა არ გამწყრალა. მაგიდასთან დაჯდა, მაღვიძარა დაშალა, დაზიანებული ზამბარა შეაკეთა და მაღვიძარა კვლავ ააწყო. ბიჭები კი გააფრთხილა: – უჩემოდ ხელი არ ახლოთო.

მეორე დღეს მიხო და ვახო მამის ნათქვამს ერთმანეთს ახსენებდნენ — მაღვიძარას არ გაეკაროო, მაგრამ სულმა წასძლიათ და საიდუმლოდ შეთანხმდნენ, მხოლოდ თითოვჯერ „დაეყიყლიყობინათ“. ასეც მოიქცნენ. საღამოს მამამ ძმები შეამოწმა და უსაყვედურა: — ხომ გთხოვთ ხელი არ ახლოთ-მეთქი. ბიჭები, თუმცა თავს დამნაშავედ გრძნობდნენ, მაგრამ ცნობისმოყვარეობას ვერ მაღავდნენ. სურდათ, გაეგოთ – ვინ გასცა საიდუმლო. მამლაყინნამ ყველაფერი მიამბო, – წყენით თქვა მამამ.

ღამით ძმები ჩაძინებამდე ჩურჩულებდნენ, მამლაყინნამ ენის მიტანა როგორ შეძლოო; თუმცა, თუკი ყივის, რატომ არ შეიძლება, ლაპარაკობდეს კიდეც, – დაასკვნეს და თვალიც მიღულეს.

დილით ბიჭები ჩვეულებრივზე ადრე წამოდგნენ და მაღვიძარას თვალიერება დაიწყეს. მიხო მაგიდას მიუჯდა. მუშტი მუშტს შეადგა, ზედ წიკაპით ჩამოეყრდნო და მამლაყინნას ნისკარტს მიაჩერდა. წიკ-წიკ, წიკ-წიკ – წიკწიკებდა საათი და მამლაყინნაც თავს აკანტურებდა. მიხომ ახლა საათის ციფერბლატი მოათვალიერა. აქაც ყველაფერი რიგზე იყო. ისრები ჩვეულ გზაზე მოძრაობდნენ. დაბოლოს, მზერა მამლაყინნას ფეხებზე გადაიტანა.

— ვახო! ვახო! აქოთქოთდა უცებ მიხო. ვახო მაგიდასთან მიიჭრა. — ნახე, ნახე, ვახო — ყვიროდა მიხო და მამლაყინნას დეზებთან თითებს ასავსავებდა. თურმე ნუ იტყვით. მამას ხერხი ეხმარა და მამლაყინნას ფეხების გასწვრივ მუშამბაზე ფანქრით ორი მკრთალი წრე შემოხეხაზა. ბიჭებმა ჯერ გნიასი ატეხეს, მერე მამლაყინნა კარგა ლაზათიანად „აყიყლიყოვეს“ და მერე ისევ ისე, წრეში ჩაუდგეს გაბარჯგული ფეხები. ახლა მოუთმენლად ელოდნენ მამის დაბრუნებას. დრო ნელა გადიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მამაც მოვიდა. ძმები მას კარებშივე შეეგებნენ. მამას შეუმჩნეველი არ დარჩენია მათი ცმუკვა, რაღაც ამბავიაო, — გაიფიქრა და პირდაპირ ოთახისკენ გაემართა. მაგიდა მოათვალიერა და ძმებს საქციელი მოუწონა. ყოჩალ, ბიჭებო, ყოჩალ! — თქვა მამამ და ტყუპს მხრებზე ხელი მოუთათუნა. ბიჭებმა თავშეუკავებელი სიცილი ატეხეს.

— რა მოხდა? — გაიოცა მამამ.

— ონს მიგიხვდით, მამიკო, ონს — ხარხარებდნენ ბიჭები. მამა მიხვდა, რომ ფანდი გახსნილი იყო. მკერდში ჩაიკრა სიხარულით ატკარცალებული საზრიანი ბიჭები და თვითონაც გულიანად ახარხარდა.

მხატვარი ვაჟა ქურჩული



# გაერთანაბი

ლია კოგალაძე

\*\*\*

ცა ქუდად არ მიაჩნია  
და ქალამნად — მინა,  
დაყივლებით თავს იწონებს  
ყინჩი . . . . .

\*\*\*

ბაჯბაჯა და დრუნჩა,  
მართლაც გოლიათი,  
ზონზონხა და ზანტი,  
ვინ იქნება? . . . .

\*\*\*

აღმა-დაღმა დავდივარ,  
მინას კი არ ვეხები.  
არც ფრთები მაქვს ჩიტივით,  
არც ძლიერი ფეხები.  
ყველას ვემორჩილები  
თითის ერთი შეხებით.

\*\*\*

ჭერზე ჰკიდია დღედაღამ  
მუნჯი და შუშისთვალება,  
დღეს მისი არ ეშინია,  
დამე ვერ გაეკარება.



ნინო ჯანიაშვილი  
6 წლის

თბილი, მარიამ, ნიკოლოზ ჯაფარაშვილები

მთავარი რედაქტორი: დოდო ნიმინიაშვილი  
ნახატი ყდაზე: თეა მიქაელისი

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77; 2 72 51 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
ფასი: 2.50 ლარი



უურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა  
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

